ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5172717

ნომერი: AR1781427

თარიღი : 22.10.2020

გაცემის თარიღი : 04.11.2020

გაცნობის თარიღი : 04.11.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩა, N 31ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ელიზბარაშვილი პ/ნ 01002011119
- თბილისი გლდანი VIII მ/რ კორ. 1 ბ. 133

ნომენკლატურა :

- საწყობი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 4190083
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 17.08.2018

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით ელიზბარაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს"არქიდეა"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 401986801

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს ტოიოტა კავკასია
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 236089273
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიცურუ კონიში
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: JPN TR8138745

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 26511.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 6061.2
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 8020.5
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 1067.8
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 40.7
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 247.3
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 6276.9
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 387.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 51151.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 51007.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 144.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 11.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 10.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.5
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 6061.2 მ.კვ. - 6061.2/26511=0.2
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 8760.7 მ.კვ. - 8760.7/26511=0.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2657.8 მ.კვ. - 2657.8/26511=0.1

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4735543
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.04.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: ვინაიდან, 2019 წლის 10 ივლისის საქართველოს მთავრობის №327 დადგენილებით შევიდა ცვლილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, კერძოდ: სამშენებლო დოკუმენტის იმგვარი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმებული ობიექტის განაშენიანების

ფართობის ცვლილებას 20%-ზე მეტად ან ამ ობიექტის ფუნქციის ცვლილებას, დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული უნდა იქნეს თავიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთან, საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წ. 57-ე დადგენილების მე-18 მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით შენობის განაშენიანების ფართობი არის ყველა სართულის განაშენიანების ფართობების ჯამი.
ვექტორულ ფაილში წარმოდეგნილ იქნეს შეთანხმებული პროექტისა და კორექტირებული დოკუმენტაცის შესაბამისის განაშენიანების საანგარიშო კროკები, გაითვალისწინეთ რომ კორექტირებული დოკუმენტაციისთ დაუშვებელია განაშენიანების ფართობის გაზრდა 20%-ზე მეტად, წინააღმდეგ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული უნდა იქნეს თავიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით გიხარვეზდებათ საპროექტო დოკუმენტაციის ყველა ველი, ხოლო დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით საჭირო დოკუმენტაციის წარმიდგენისა და საპროექტო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების შესახებ გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ კანონით დადგენილ ვადაში
02. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის თანახმად: სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსოებში. მათი არ არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგრების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.

· ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა დოკუმენტაციით გათვალისწინებული კონდიციონერის აგრეგატების შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა)

03. შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები: შეთანხმებული პროექტის ბრაძანების ნომერი: გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 4735543
შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები: შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი:
გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 04/11/2019

04.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები -> .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. :
გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 04/11/2019

05.. სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და საკითხი განსახილველად გადაგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (28/10/2020 წლის წერილი N 60-01203021609), ვინაიდან ამ დროისთვის საკითხი შესწავლის პროცესშია, შესაბამისად პასუხი გეცნობებათ კვლევის დასრულების შემდგომ, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი გადმოგეგზავნებათ დანართის სახით.

06. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი:
გადამოწმდება კ-2 კოეფიციენტის დაზუსტების შემდეგ.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

· დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

· გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.